ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
GEO 02-071/23

ქ. თბილისი **23 თებერვალი 2023 წელი**

ერთი მხრივ (შემსყიდველი): **სსიპ „იუსტიციის სახლი“**
წარმოდგენილი **თავმჯდომარის მოადგილის ავთანდილ კოხრეიძის სახით,**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204580202**
მისამართი: **ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1**
მიმღები: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **707463520**

Legal Entity of Public Law Public Service Hall
Digitally signed by Legal Entity of Public Law Public Service Hall
Date: 2023.02.23 17:19:31 +04'00'

მეორე მხრივ (მიმწოდებელი): **შპს „პატიო-არტ“**
წარმოდგენილი დირექტორის **დიმიტრი გამხიტაშვილის სახით**
საიდენტიფიკაციო კოდი: **205 262 936**
იურიდიული მისამართი: **ქ.თბილისი, შარტავას ქ. #35/37**
ბანკი: **სს „თიბისი ბანკი“**
ბანკის კოდი: **TBCBGE22**
ა/ნ: **GE03TB7081536020100010**

<u>წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის (SMP230000497) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მხარეები დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:</u>

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ასევე ყველა იმ დოკუმენტით რომლებზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნება;
1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ „იუსტიციის სახლის“ ფოთის ფილიალის საჭიროებისთვის:
- <u>**შენობის ფასადზე არსებული დაზიანებული ლოგოს აღდგენის მიზნით ლოგოს შესყიდვა თანხლები მომსახურებით დემონტაჟი/მონტაჟით.**</u>
- **CPV კოდი: 39294100 - საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია**

2.2 მომსახურება გაწეული უნდა იქნეს ხელშეკრულებაზე თანდართული **დანართი N1 - ფასების ცხრილის** შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - <u>**12 000.00 (თორმეტი ათასი) ლარს.**</u>
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს: <u>**ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.**</u>
4.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილი: <u>**ქ. ფოთი, რუსთაველის რკალი #26**</u>

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
5.2 დაფინანსების წყარო: <u>**სსიპ „იუსტიციის სახლის“ 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.**</u>
5.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლის“ მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების დეპარტამენტი.**

6.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, აწარმოოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. შემსყიდველს უფლება აქვს, ჩართოს ინსპექტირების პროცესში სხვა პირები, რომელთა ჩართვასაც ის ჩათვლის მიზანშეწონილად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

7.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ობიექტის მოწოდების შემდეგ, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, შეუსრულებელი (არაჯეროვნად შესრულებული) ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების 10 (ათი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.7 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.

8.8 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, შემსყიდველს უფლება აქვს, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;

9.4 მიმწოდებლის მხრიდან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების 10 (ათი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;

9.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);

10.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი

გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;

10.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

11. გარანტია

11.1 მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან **1 (ერთი) წლის ვადით.**

11.2 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშო დღისა).

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 11.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების სრულად ანაზღაურება.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

12.2 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით;

12.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, მიმართონ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს: საგარანტიო მომსახურების ნაწილში - ხელშეკრულების 11.1 ქვეპუნქტის შესაბამისად; ხელშეკრულების მე-8 მუხლი მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე, ხოლო ყველა სხვა ნაწილში ხელშეკრულება მოქმედებს **2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.**

ხელმოწერილია:

ხელშეკრულება და ხელშეკრულების დანართები ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

ვიზირებულია:

სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მიერ.
სსიპ „იუსტიციის სახლის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **23 თებერვალი 2023 წელი**

ჩვენ, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ **შპს „პატიო-არტის“** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ავთანდილ კოხრეიძე
თავმჯდომარის მოადგილე

შალვა ჯულაყიძე
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

მეგი კაციტაძე
სსიპ „იუსტიციის სახლის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის

გიორგი ორჯონიკიძე
სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტი	აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	მიწოდებისა და მონტაჟის ადგილი	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	ჯამური ფასი დღგ-ს ჩათვლით
1	 **ლოგო (თანმხლები მომსახურებით, მონტაჟით)**	ზომა: 500სმX500სმ. ლოგო უნდა დამზადდეს 7 ცალი ფოთლის ფორმის ერთნაირი დეტალისგან, ზომით:207სმX113სმ. ლოგოს თითოეული დეტალი უნდა იყოს 10მმ და 6მმ სისქის პლასტიკური მასალა (PVC). დამზადებული დეტალები უნდა შეიფუთოს ვერცხლისფერი 4 მმ-იანი დიზონდით. ბორტები მუშავდება და იღებება მანქანის ვერცხლისფერი საღებავით, შესაბამისი წებოსა და სილიკონის გამოყენებით. ლოგოს დეტალები კედელზე დამონტაჟდება ალუმინის 30X30 მმ ზომის კუთხოვანასა და ხრახნების გამოყენებით.	1 ცალი	ქ. ფოთი, რუსთაველის რკალისა და კოსტავას ქუჩის კვეთა (მონტაჟი უნდა განხორციელდეს იუსტიციის სახლის შენობის კედელზე)	12 000,00	12 000,00